

გელა ბოჩიკაშვილის შეპასუხება გიორგი გაბედავას მიერ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შეტანილ განცხადებაზე

2018 წლის 17 მაისს მედიასაშუალება On.ge-ზე გამოქვეყნდა ახალი ამბავი სათაურით „გიორგი გაბედავა ისევ დააკავეს“, რომელშიც ის მოხსენიებული იყო „ჰომოფობიური და ნეონაციისტური იდეოლოგიის მატარებელად“. ამგვარი შეფასების გამო, გიორგი გაბედავამ On.ge-ს წინააღმდეგ ქარტიას მიმართა. ორივე ტერმინი „ჰომოფობია“ და „ნეონაციზმი“ სოციალური მეცნიერებების კვლევის საგანია.

განმარტებები

1. *ოქსფორდის*¹ სოციალური მეცნიერებების ლექსიკონის განმარტებით, ნეონაციზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს ნაციონალიზმის თანამედროვე სახესხვაობას, რასაც პრეფიქსი „ნეო“ აღნიშნავს. მის ღირებულებით სისტემაში მოიაზრება ეროვნულობის უპირატესობად წარმოჩენა, რაც გულისხმობს ქსენოფობიას, რასიზმსა და ჰომოფობიურ განწყობებს. ნეონაციისტების მთავარი მრწამსი ეროვნულ უპირატესობაში მდგომარეობს, ისინი ყველა სხვა ერთან შედარებით საკუთარს დომინანტად წარმოაჩენენ. ამ ღირებულებით სისტემაში ერი-სახელმწიფოს კონცეფცია სრულიად იგნორირებულია, რადგან ის არ აღიარებს ერის წარმომადგენლად განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის ადამიანი სარგებლობს მოქალაქეობით. ნეონაციისტებისთვის მიუღებელია და იდეოლოგიურად უპირისპირდებიან სხვადასხვა უმცირესობებს, მათ შორის სექსუალურ და ეთნიკურ უმცირესობებს.
2. Webster-ის უნივერსიტეტის მიერ შექმნილ სოციალური მეცნიერებების ლექსიკონში, ნეონაციზმი განმარტებულია, როგორც ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ულტრანაციონალისტური, ანტისემიტისტური განწყობების მქონე ადამიანების ჯგუფი, რომლის ფესვებიც მომდინარეობს ნაციონალ-სოციალური პარტიის იდეოლოგიური დოქტრინიდან. Webster ამერიკული უნივერსიტეტია, რომელიც სოციალური მეცნიერებების დარგში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ სამეცნიერო ცენტრად ითვლება, რასაც ადასტურებს მის მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობა და ციტირების ინდექსი.
3. ცნობილი მეცნიერი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, სტენფორდისა და სხვა უნივერსიტეტების პროფესორი, ენდრიუ ჰეივუდი თავის წიგნში

1 C. Calhoun, *Dictionary of Social Sciences*, Oxford University Press , 2002

„პოლიტიკური იდეოლოგიები“ ნაციზმისთვის დათმობილ თავში ნეონაციზმს განმარტავს, როგორც ნაციზმის სუბიდეოლოგიას, რომელიც ნაციზმის ღირებულებებზეა ჩამოყალიბებული და თავის თავში მოიაზრებს უმცირესობების დისკრიმინაციას, ერის პოლიტიკური კონცეფციის გაიდებლას, ქსენოფობიას და სხვ.

რაც შეეხება ჰომოფობიას, მისი უნივერსალური განმარტება გაეროს ეკუთვნის და გულისხმობს სექსუალური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციას, მათთვის უფლებების ჩამორთმევას, სექსუალური ნიშნით ჩაგვრას, ნეგატიურ დამოკიდებულებას და განცხადებებს სექსუალური უმცირესობების მიმართ.

განცხადებები და პარალელები

მოცემული განმარტებების შემდეგ, საჭიროდ მივიჩნევთ, მოვიყვანოთ გიორგი გაბედავას მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებები და შევუსაბამოთ ის ნეონაციზმისა და ჰომოფობიის საყოველთაოდ მიღებულ განმარტებებს.

გიორგი გაბედავა სხვადასხვა დროს არაერთხელ გამოჩენილა ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ და ეროვნული მოტივებით ჩატარებულ აქციებზე. მაგალითად, მედიასაშუალება *საქინფორმზე* 2 მაისს გამოაქვეყნა [სტატია](#), რომელსაც ერქვა „7 მარტს თურქეთი საქართველოზე გამარჯვების დღეს ოფიციალურად აღნიშნავს, ჩვენ კი საქართველოში „დიდგორობის“ აღნიშვნის პრობლემა გვექმნება – 3 საკამათო საკითხი და ულტიმატუმი ხელისუფლებას“. სტატიაში მოყვანილი იყო გიორგი გაბედავას კომენტარიც:

„შარშან მე ვიყავი თურქეთის ერთ-ერთ ქალაქში ართვინში, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა. იქ ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც ჩვენზე უფრო მაგარ ქართველები არიან. რადგან 7 მარტს თურქეთი ოფიციალურად აღნიშნავს საქართველოზე გამარჯვების დღეს, მაგრამ ართვინში ამის აღნიშვნის უფლებას არ აძლევენ. ეს დღე თურქებისთვის დიდი დღესასწაულია. ჩვენ კი საქართველოში ვერ უნდა აღვნიშნოთ დიდი დღე - „დიდგორობა“? სუფრასთან რომ დავსხდებით, რისი სადღეგრძელო უნდა დავლოთ? მე ვერ წარმომიდგენია, რომ თუ ჩვენ არ აღვნიშნავთ 12 აგვისტოს „დიდგორობას“, მაშინ სირცხვილისგან ერთმანეთს თვალებში როგორ უნდა ჩავხედოთ?! რა თქმა უნდა, ოფიციალურად აღნიშვნაზეა საუბარი. თუ ჩვენ ჩვენს სახელმწიფოს არ დავაფასებთ, სხვა ჩვენ არ დავაფასებს“.

აღნიშნული კომენტარი გიორგი გაბედავამ „დიდგორობის“ უქმედ დღედ გამოცხადების ინიციატივის ჩავარდნასთან დაკავშირებით გააკეთა. ამ განცხადებაში აშკარად იკვეთება ეროვნული მოტივები, რომელშიც გაბედავა ცდილობს გაამწვავოს

ქსენოფობიური დამოკიდებულება თურქეთისა და თურქეთის მოქალაქეების მიმართ. მისი სიტყვების პერიფრაზი, რომ თითქოს თურქები ქართველებზე გამარჯვების დღეს აღნიშნავენ, ქართველები კი დიდგორობას სათანადო პატივს არ ვცემთ, პოპულისტური განცხადებაა, რომელსაც შესაძლოა თურქებისადმი დამოკიდებულების კიდევ უფრო გამძაფრება მოჰყოლოდა.

დეკემბერში, გიორგი გაბედავას მორიგი ქსენოფობიური განცხადება გამოჩნდა, რომელიც მან ფეისბუქზე დაწერა შემდეგ კი არაერთ მედიაშაუალეზაში გავრცელდა, მათ შორის, [ალიაში](#), [ინფო 9-ში](#), [პია-ზე](#) და ა.შ. ამ განცხადებაში გაბედავა სრულიად უადგილოდ და უკონტექსტოდ ცდილობს ადამიანის ეროვნების იდენტიფიცირებას. ეს განცხადება ჰომოფობიურ ხასიათსაც ატარებს.

გიორგი გაბედავას ციტატა: „დავით სომეხი ხარ და რატომ იბრალებ ქართველობას? იქორწინე ბიჭზე, რაც გინდა ის ქენი, მაგრამ ჩოხას რომ იცმევ სომეხი რა თემაა? ჩემი აზრით დაგავალეს რომ ჩაგეცვა. აბა როდის იყო სომეხი ქართველობაზე დებდა თავს. თავებს ნუ წაშლი, პასუხი გამცე ჯობია . საკალელებო“

ამ განცხადებაში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გაბედავა ხაზს უსვამს ადამიანის ეროვნულ წარმომავლობას და მას მიმართავს „ჩოხას რომ იცმევ სომეხი, რა თემაა?“. ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა ქსენოფობიური დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ, რომელთაც თითქოს არ აქვთ უფლება ქართული ეროვნული ტანისამოსით შეიმოსნონ, რადგან სხვა ერის წარმომადგენლები არიან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სტატუსი უკავშირდება გეი ქორწინებას და გაბედავა გულისხმობს, რომ გეის, თანაც სომეხს, ჩოხის ჩაცმის უფლება არ აქვს, მაშინ განცხადება ორმაგად უფრო მძიმეა, რადგან ის ერთდროულად ჰომოფობიური და ქსენოფობიურია.

გიორგი გაბედავა აქტიური იყო ე.წ. „ბასიანის დარბევის“ აქციების დროსაც. 12 მაისს მან შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა ფეისბუქზე.



გიორგი გაბედავა

May 12 · 🌐



დღეს 22:00 საათზე მივდივართ პარლამენტთან !!! საქართველო არ არის ბარიგების, გეების, ნაცების და ნამირლების ქვეყანა!!! მშვიდობიანი ფორმით მოვთხოვთ პასუხი ბარიგების მხარდამჭერ აქციის მონაწილეებს!!!

ახალგაზრდობა ილუპება! დგანან ეს ადამიანთ მოძულე ელემენტები და ამბობენ რომ ეს არის მომავალი! ჩვენ არ გვინდა წარვოდამოიკიდებელი მომავალი თაობა!!!

ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ პოლიცია აპირებს ამ აქციის დარბევას, რისი საშუალებაც არ უნდა მივცეთ ჩვენ პოლიციელებს, მათი დარბევა იქნება დიდი შეცდომა, რადგან სალაპარაკო მიეცემათ ნაცებს, გეებს და ბარიგებს!!!

საკონტაქტო ნომერი 599 123478 - გიორგი გაბედავა

👍❤️👎 106

10 Comments 31 Shares

გიორგი გაბედავა ამ პოსტში ნათლად ახდენს დიფერენცირებას „გეებსა“ და სხვა ადამიანებს შორის და მათ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს, რაც ცალსახად ჰომოფობიური განწყობების მატარებელია. ჰომოფობია კი, ნეონაციზმის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა.

12 მაისს გიორგი გაბედავას კიდევ ერთი ფეისბუქ პოსტი ეწერა.



გიორგი გაბედავა

May 12 · 🌐



ნაცების-ბარიგების-ლგბტ თემის-გიორგის აქციაზე დგას სადღაც 2-3 ათასი წარვომანი, ნაცი, ბარიგა, პედერასტი-ლესბოსელი-ბი-ტრანსგენდერი. და აპროტესტებენ ბარიგების აყრას. თავიანთივე გაყიდული წამლით გარდაცვლილების სისხლიან ხელებს სხვას აწმინდავენ და რევოლუციით იმუქრებიან. ვია ეს მთავრობა ღირსი, მაგრამ ამათი სარევოლუციო სად არის??? ჩემი აზრით უნდა გავიღეთ და გავცეთ პასუხი ბარიგებს, ნაცებს, და პედერასტებს!!! 599123478-ამ ნომერზე ვარ და შეკრების მსურველები დამიკავშირდით. გავიღეთ დღესვე!

👍❤️👎 78

20 Comments 13 Shares

ამ პოსტში გიორგი გაბედავა იყენებს ისეთ შეურაცხმყოფელ სიტყვას, როგორცაა „პედერასტი“ და სხვ. გარდა ამისა, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებს უარყოფით, მარგინალურ კონტექსტში მოიხსენიებს, რაც ჰომოფობიის მორიგი გამოხატულებაა.

2013 წლის 18 მაისს, მეორე დღეს, როცა საქართველოში ლგბტ აქტივისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ და არ მისცეს კონსტიტუციური უფლება გამოხატვის თავისუფლება სისრულეში მოეყვანათ. 18 მაისს გამართულ [პრესკონფერენციაზე](#)

გიორგი გაბედავამ ეს შემთხვევა „ზნეობისა და ღირსების დაცვად“ და „გამარჯვებად“ შეაფასა:

„ჩვენ გავიმარჯვეთ გუმბინ. ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი ზნეობის და ღირსების დაცვა და მსგავსი რამ საქართველოში აღარ უნდა განმეორდეს. ასეთი მცდელობაც არ უნდა იყოს, რომ ვიღაც გამოვიდეს და სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდა გააკეთოს. საქართველოა ეს და ყველამ დაიმახსოვროს, ჩვენ არ ვაპირებთ რომ ასეთი რაღაცები დავთმოთ“.

აღნიშნული განცხადება ცალსახად ჰომოფობიური და ნეონაციისტური შინაარსის მატარებელია, რადგან სექსუალური უმცირესობების უფლებების შელახვა გამართლებულია „ქართველობით“ (ეს საქართველოა) და რადიკალური ქმედებები შეფასებულია როგორც „ზნეობისა და ღირსების“ დაცვა.

გიორგი გაბედავას ჰომოფობიის მორიგი ლუსტრაცია 2013 წლის 24 მაისს, დედაენის ბაღში ჩატარებულ აქციაზე მოხდა. დედაენის ძეგლთან 24 მაისს ორი აქცია გაიმართა. პირველი, დევიზით ”აიკრძალოს ლგბტ პროპაგანდა”, საღამოს 6 საათზე დაიწყო. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი გაბედავა ხელში ხმის გამაძლიერებლით აქციის მონაწილეებს სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა, სთხოვდა, პროვოკაციებს არ აჰყოლოდნენ და არავინ ელანძღათ, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ მორალს:

”ზნეობრივად მოვიქცეთ, ძალიან გთხოვთ! მეც ვლიზიანდები, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, რომ თავი შევიკავო. თქვენც ამისკენ მოგიწოდებთ, რადგან ჩვენ უნდა მოვიგოთ ფსიქოლოგიური ომი”.

გიორგი გაბედავა ასევე აქტიურად მონაწილეობდა „ქართული მარშის“ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქციებში, მათ შორის ლგბტ საზოგადოების წინააღმდეგ და უცხოელების წინააღმდეგ გამართულ აქციებში. გიორგი გაბედავა აფილირებულია „ქართულ მარშთან“ და მედიაში იდენტიფიცირებულია² როგორც ამ მოძრაობის წევრი. თუმცა იგი აცხადებს, რომ არ არის ამ ორგანიზაციის წევრი.

² <https://www.ambebi.ge/article/223387-giorgi-gabedava-gia-korkotashvili-guram-palavandishvili-levan-chachua-da-ramaz-gagnize-policiis-ganqopilebidan-gaatavisuples/> 2) <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/493677-giorgi-gabedava-daakaves.html?ar=A> 3) <https://www.allnews.ge/sazogadoeba/160555-%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1.html>

<https://www.geomediapress.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%90/>

აღსანიშნავია, რომ ქართული მარში ნეონაციური იდეების ირგვლივ არაფორმალური გაერთიანებაა (ამას მოწმობს საერთაშორისო გამჭვირვალობის [კვლევა](#)). ამ გარემოების გათვალისწინებით რთულია იმის დადგენა ვინ არის ამ გაერთიანების წევრი და ვინ არა. შესაძლოა, გაბედავა მართლაც არ იყოს „ქართული მარშის“ ორგანიზაციის წევრი, თუმცა მათ იდეებსა და მოსაზრებებს ლგბტ თემის, მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე, უცხოელების საქართველოში შემომწვევაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე იზიარებს, რადგან „ქართული მარშის“ ორგანიზებულ აქციებზე ხშირად ჩნდებოდა.







ფოტოებში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გაბედავა არაერთგზის ყოფილა „ქართული მარშის“ აქციებზე. „ქართული მარში“ კი ცნობილია თავისი ქსენოფობიური, ნეონაციტური და ფაშისტური განცხადებებით, განსაკუთრებით კი მისი ლიდერები გიორგი კორკოტაშვილი, სანდრო ბრეგაძე და სხვ.

მაგალითად, 2018 წლის 12-13 მაისის აქციების შემდეგ, 14 მაისს ქართული მარშის ორგანიზებით კიდევ ერთი აქცია გაიმართა, რომელში გიორგი გაბედავა მონაწილეობდა. აქციის შეინარსზე მარშის ერთ-ერთმა ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ ტვ პირველის ეთერში [ისაუბრა](#):

„ამ აქციის მთავრი მოთხოვნა, რეალურად, გუშინ შესრულდა, როდესაც ჩვენ გაერთიანებული ძალებით მოვახერხეთ, რომ აქ შეწყვეტილიყო ის აქცია, რომელსაც მართავდნენ ნარკომოვაჭრეების მხარდამჭერები და სოლომისტები“.

ის, რომ გიორგი გაბედავას იდეოლოგიური თანხვედრა აქვს „ქართულ მარშთან“, ცხადი ფაქტია, რადგან ამის შესახებ გაბედავა 2017 წლის 26 მაისს სააგენტო „პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავად [საუბრობს](#).

„რაც შეეხებათ “ქართველთა მარშის” ორგანიზატორებს, მათი უმრავლესობა ჩემი მეგობარია, ჩვენ საერთო აზრი გვაქვს. ამ საკითხზე ჩემი პოზიციაა, რომ ადამიანები, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში და აქ ცხოვრობენ, ჩემთვის პრობლემას წარმოადგენენ ერთადერთ შემთხვევაში, თუკი ისინი არღვევენ კანონს და ჩვენს

კულტურასა და ხალხს ცუდად ეხებიან. თუკი ადამიანი ჩამოდის ტურისტად, ან მუშაობს და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მე პირიქით, მხარს დავუჭერ მათ და გვერდში დავუდგები. მაგრამ, როდესაც ვიგებ, რომ ჩინელებმა რამდენიმეჯერ სცემეს ქართველი მუშები, არაბები ექვმიტანილნი არიან ქართველი ბავშვების გარყვნაში, ამაზე, რა თქმა უნდა, მკაცრი რეაქცია მექნება და ეს ჩემთვის მიუღებელია“, - ნათქვამია გაბედავას განცხადებაში.

ამ კომენტარში, გარდა იმისა, რომ ნათლად ჩანს გაბედავას მხრიდან „ქართული მარშის“ მხარდაჭერა, იკითხება ნეონაციისტური დამოკიდებულება უცხოელების მიმართ. კერძოდ, ის ახდენს დიფერენცირებას უცხოელებსა და ქართველებს შორის, რადგან მიიჩნევს, რომ უცხოელი, რომელიც დანაშაულს ჩადის საქართველოში, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კრიმინალის ჩადენას არ აქვს ეროვნება და ყველა დამნაშავე ერთნაირად ისჯება. არის შემთხვევები, როცა გაბედავა თავის შეფასებებში „ქართველობას“ პორზიურ ჭრილში [წარმოაჩენს](#). დამნაშავეების ეთნიკური ნიშნით გამორჩევა, ან საკუთარი ეთნიკურობის პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენა კი ჯდება ნეონაციზმის ჩვენ მიერ მოყვანილ განმარტებებში, ვინაიდან ის ხელს უწყობს ქსენოფობიური განწყობების გაძლიერებას.

დავუბრუნდეთ „ქართულ მარშს“. ის, რომ ეს ორგანიზაცია ნეონაციისტურ დაჯგუფებას წარმოადგენს, არაერთგზის ვლინდება. ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი 2018 წლის იყო, როდესაც „ქართულმა მარშმა“ სახალხო პატრულირება დაანონსა. ამ იდეის მიზანი იყო, რომ „ქართული მარშის“ წევრებს სხვადასხვა ადგილებში უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულებები გამოევილინა. აქაც, ცხადია, იკვეთება ნეონაციისტური დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, რადგან გაუგებარია, რატომ უნდა ხდებოდეს დანაშაულის დიფერენცირება მისი ჩამდენის ეროვნების მიხედვით. შესაბამისად, ამგვარი დამოკიდებულება პირდაპირ ასახავს ნეონაციისტური იდეალების მსახურებას. ახლა კი, გავიხსენოთ გიორგი გაბედავას განცხადება, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ და რომელშიც ის ამბობს, რომ „ქართულ მარშს“ იდეურად მხარს უჭერს.

„ქართულ მარშს“ ნეონაციისტურ დაჯგუფებად მოიხსენიებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობაც“. [კვლევაში](#), რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა და რომელიც მიზნად ისახავდა „იმ ნეონაციისტური ჯგუფებისა და მათთან დაკავშირებული ადამიანების იდენტიფიცირების მცდელობას, რომლებიც ბოლო პერიოდში ლიბერალური შეხედულებების მქონე ჯგუფების მიმართ ძალადობითა და აგრესიით გამოირჩევიან“.

აღნიშნულ კვლევაში ნეონაციისტურ ჯგუფებთან იდენტიფიცირებულია გიორგი გაბედავაც, რომელზეც კვლევაში დეტალურად არის საუბარი. ჩვენ გთავაზობთ ამონარიდს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ჩატარებული კვლევიდან:

„გაბედავა რამდენჯერმე იყო დაკავებული პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. მათ შორისაა, რამდენიმე დღის წინ კლუბ “ბასიანში” და კაფე “გალერიში” სპეცოპერაციის შემდეგ გამართული აქციის კონტრაქციაზე წვრილმანი ხულიგნობისთვის დაკავება. ის ასევე თანამოაზრეებთან ერთად, 2016 წლის 18 ივნისს მისული იყო კლუბთან და ტერიტორიის დატოვება პოლიციის გამოჩენის შემდეგ მოუხდა.

გიორგი გაბედავა ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი იყო 2013 წლის 17 მაისის ძალადობრივი დემონსტრაციისა. გაბედავა გახლავთ ასევე “ეროვნული ფრონტის” ლიდერი, რომლის გამგეობის წევრები, მაგალითად გეგა ხვედელიძე, აგრესიული ჰომოფობიური და რასისტული განცხადებებით გამოირჩევიან. ხვედელიძე გახლავთ ასევე ქართული იდეის წევრიც.

“საქართველოს ახალგაზრდა ეროვნული ალიანსი” კიდევ ერთი ორგანიზაციაა, რომელთანაც კავშირი აქვს გაბედავას. ალიანსის მიზნებია:

1.9. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

1. ახალგაზრდებში ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება.
2. ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში
3. ახალგაზრდებში განათლების დონის აწევა
4. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვა
5. მედია მონიტორინგი

”, - წერია „საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ ჩატარებულ კვლევაში.

„საქართველოს ახალგაზრდა ეროვნული ალიანსის“ მიერ ჩამოყალიბებულ მიზნებიდან პირველი „ახალგაზრდებში ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართოდ მიღებული განმარტებების თანახმად, ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება პირდაპირ და უტყუარად ჯდება ნეონაციზმის იდეოლოგიაში.

საერთაშორისო მედიის გამოცდილება

ნეონაციისტებად ადამიანების მოხსენიებას არც საერთაშორისო მედია ერიდება. მათი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ დაჯგუფებებსა და პიროვნებებს ნეონაციისტებად მოიხსენიებენ, ემთხვევა On.ge-ს შეფასებით სისტემას და ის მოიაზრებს ნეონაციისტებად იმგვარი ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებიც გამოირჩევიან ეროვნული სულისკვეთების სახელით გაკეთებული რადიკალური განცხადებებით, ჰომოფობიური დამოკიდებულებებით, წვრილმანი ხულიგნობების ჩადენითა და აგრესიული საპროტესტო აქციების ჩატარებით.

The Guardian-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც მოყოლილია ნორვეგიელი ჟურნალისტის ნეონაციური ჯგუფების გაშუქების გამოცდილების შესახებ, არც ინტერვიუერი და არც რესპონდენტი (ორივე ჟურნალისტი) არ ერიდებიან ჰომოფობების, ქსენოფობებისა და მსგავსი განწყობების მქონე დაჯგუფებების ნეონაციურად მოხსენიებას. (ბმული: <https://www.theguardian.com/books/2018/feb/17/vegas-tenold-everything-you-love-will-burn-q-and-a-nazis>)

CNN-მა 2017 წლის აგვისტოში გამოქვეყნებულ მასალაში, ბერლინში ჩატარებული სამოქალაქო მსვლელობა, რომელიც არიული რასის დომინანტობის შეხსენებასა და რუდოლფ ჰესის გარდაცვალების მოხსენიებას ეძღვნებოდა, ნეონაციურ მსვლელობად შეაფასა (ბმული: <https://edition.cnn.com/2017/08/19/europe/germany-berlin-rally/index.html>).

გამოცემამ Daily Mail 2018 წლის მარტში გამოქვეყნებული ვიდეოს აღწერაში, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ესხმიან გერმანელები მიგრანტებს თავს, თავდამსხმელები ნეონაციურად მოიხსენიან. გამოცემა წერს: „გერმანელი ნეონაციურების დაჯგუფება მიგრანტებს თავს ესხმის“. (ბმული: <http://www.dailymail.co.uk/video/news/video-1329790/Gang-neo-Nazis-vicious-street-fight-migrants-Germany.html>)

გამოცემამ Telegraph 2018 წლის 5 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც წერდა ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელიც გვი აღლუმის დარბევას აპირებდა, ახალგაზრდა კაცი ნეონაციურად მოიხსენიან მისი ჰომოფობიური დამოკიდებულებების გამო. (ბმული: <https://www.telegraph.co.uk/news/2018/02/05/neo-nazi-convicted-terror-offence-planning-attack-lgbt-event/>).

აღნიშნული შემთხვევები, ცხადია, არ არის იდენტური გიორგი გაბედავასა და „ქართული მარშის“ აქტივობასთან, თუმცა პრინციპი, რომლითაც უცხოური გავლენიანი მედიები ჯგუფებსა და ადამიანებს ნეონაციურად მოიხსენიებენ, იდენტურ თანხვედრაშია On.ge-ს პოლიტიკასთან.

შემოთავაზებული არგუმენტების შემდეგ, ვფიქრობთ, ნათლად ავხსენით, თუ რატომ ჩათვალა მედიასამუალემა On.ge-მ საჭიროდ, რომ გიორგი გაბედავას სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა „ჰომოფობიური და ნეონაციური იდეოლოგიის მატარებლად“ ჩათვალა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ონლაინ გამოცემამ On.ge-მ არგუმენტირებულად შეაფასა გიორგი გაბედავას იდეოლოგიური განწყობები. ჩვენი გამოცემის პოზიციას აქ ჩამოთვლილი არგუმენტები ამყარებს.